

სტრესის დაძლევის სტრატეგიებსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირი,
შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
და არ მქონე პროფესიულ სტუდენტებთან

ნაზი ვარდოსანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების კლინიკური
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ფსიქოლოგია-კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაზი ვარდოსანიძე 2018

სარჩევი

სარჩევი	1
აბსტრაქტი	3
Abstract	5
მადლობა.....	6
I თავი. შესავალი	7
1.1. საკითხის აქტუალობა და ქართული კონტექსტი	8
II თავი. ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
2.1. სტრესი და დამღევს სტრატეგიები	10
2.2. ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	12
2.3. არსებული კვლევების მიმოხილვა	14
III თავი. კვლევის ამოცანები და ჰიპოთეზები.....	19
3.1. კვლევის ამოცანები.....	19
3.2. საკვლევო კითხვები	19
3.3. კვლევის ჰიპოთეზები	20
IV თავი. მეთოდოლოგია	21
4.1. კვლევის მონაწილეები	21
4.2. პროცედურა	22

4.3. ფსიქოლოგიური კეთილდღეობი საკვლევი კითხვარი	22
4.4. სტრესის დაძლევის სტრატეგიების საკვლევი კითხვარი	24
V თავი. კვლევის შედეგები.....	27
5.2. შედეგების ანალიზი.....	27
5.2 დისკუსია.....	28
VI თავი. დასკვნები და რეკომენდაციები.....	30
ბიბლიოგრაფია.....	31
დანართი N1.....	34
დანართი N2.....	41

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყარო სტრესორებითაა სავსე. ამ სტრესორებთან გამკლავება და ცხოვრებით კმაყოფილების განცდა ადამიანის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია სტრესის დაძლევის სტრატეგიებსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის კავშირის დადგენა. ასევე ის, განსხვავდებიან თუ არა სსსმ სტუდენტები ტიპური განვითარების მქონე სტუდენტებისგან ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლით და იყენებენ თუ არა ისინი განსხვავებულ სტრატეგიებს სტრესის დაძლევისას. კვლევის მონაწილეთა სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვა სტრუქტურირებული ინტერვიუების სახით ჩატარდა 16-დან 30 წლამდე ასაკის მქონე პროფესიულ სტუდენტებთან იმ პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც დანერგილია ინკლუზიური განათლება. ინტერვიუების დროს გამოყენებული იყო ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და სტრესის დაძლევის სტრატეგიების საკვლევი თვით-ანგარიშის კითხვარები.

მონაცემთა ანალიზისას გამოყენებულ იქნა t-კრიტერიუმი და პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. შედეგებმა აჩვენა, რომ ტიპური განვითარების სტუდენტებში ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე მათ თანატოლ სსსმ სტუდენტებთან. ასევე, ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებენ სტრესის დაძლევისას. ტიპური განვითარების მქონე სტუდენტები უფრო მიმართავენ სტრესის დაძლევის ადაპტურ სტრატეგიებს (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დაძლევა და ლოცვა), ხოლო სსსმ სტუდენტები მათ თანატოლ ტიპური განვითარების მქონე სტუდენტებთან შედარებით არაადაპტურ სტრატეგიებს (ემოციური დაძლევა და თავის არიდება). ასევე, ფსიქოლოგიური

კეთილდღეობა პოზიტიურ კორელაციაში აღმოჩნდა პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ სტრატეგიასა და ლოცვასთან და უარყოფით კორელაციაში განრიდებასა და ემოციურ განკლავებასთან.

სამიუბოხო სიტყვები: სტრესი, დამღევა, ინკლუზიური განათლება, სპეციალური საჭიროებების მქონე, ტიპიური განვითარების მქონე, პროფესიული სტუდენტი.

Abstract

Contemporary lifestyle is full of stressors. Dealing with these stressors and psychological well-being has become one of the main goals of modern human being.

The main aim of this research is to determine correlation between stress coping mechanisms and psychological well-being. The research also aims to compare psychological well-being of typical students and students with special needs and determine if these two groups use two different stress coping mechanisms.

Taking into account special needs of our target group, all research participants were surveyed using structural interview. Research participants' age range was from 16 to 30 years and they were students of vocational school that used methods of inclusive education. Participants were interviewed using self-report questioners: Coping Inventory for Stressful Situations and Psychological Well-being Inventory.

The data was processed using independent t-criteria and Pearson Correlation Coefficient. The results showed that psychological well-being is higher in typical students than in students with special needs. Additionally, students with special needs use different stress coping mechanisms compared to typical students. Typical students are more likely to use adaptive stress coping mechanisms (problem-solving, praying), than students with special needs. Results showed that students with special needs use maladaptive coping mechanisms, such as: avoidance and emotion orientation. Also, psychological well-being is positively correlated with problem-solving coping mechanism and praying and in negative correlation with avoidance and emotion oriented coping mechanisms.

Key words: stress, cope, inclusive education, Students with Special Needs, Typical Students, Vocational School Student

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, კვლევის ყველა მონაწილეს, პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიული კოლეჯის ინკლუზიური განათლების გუნდს (ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სსსმ პირთა ასისტენტები ჟესტური ენის თარჯიმნები) კვლევის განხორციელებისას გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.